პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

რუსული ენის პედაგოგი-რაისა მგელაძე

საკვლევი საკითხი- რა არის ნიშანი? საჭიროა თუ არა მოსწავლის შეფასება ნიშნით? რისთვის სჭირდება ნიშანი მოსწავლესა და მასწავლებელს?

პრობლემა- ხშირ შემთხვევაში მოსწავლეების ნიშნები არ შეესაბამება მათ აკადემიურ მოსწრებას. ე.ი. მასწავლებლები ნიშნებს სუბიექტურად წერენ ანუ სკოლა ვერ ასრულებს თავის მისიას და ვერ აიარაღებს რეალური ცოდნით და უნარ-ჩვევებით.

მიზანი- მოსწავლეებში ნდობის გაზრდა და მოტივაციის ამაღლება, საკლასო გარემოს გაუმჯობესება და სასწავლო პროცესის გახალისება(ნიშნები ძაბავს ურთიერთობას თანაკლასელებს შორის და ცვლის საკლასო გარემოს).

კვლევის ამოცანა- მოსწავლეში დამოუკიდებლად სწავლის მოტივაციის ამაღლება და შემუშავდეს ახალი კონცეფცია მოსწავლეთა ცოდნის და უნარ-ჩვევების შესაფასებლად.

პრაქტიკული კვლევა ვაწარმოე 174-ე საჯარო სკოლის მე-5, მე-6 ,მე-7 და მე-10 კლასის მოსწავლეებთან მათ მშობლებთან და კოლეგებთან.

კვლევის ვადები-2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის მარტამდე.

კვლევის გეგმა- კვლევის სანდოობის გაზრდის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებათ გამოვიყენე: ინტერვიუ, მონაცემთა ანალიზი, ფოკუს ჯგუფი, ფოკუსირებადი დაკვირვება გაკვეთილზე და კითხვარები.

ფოკუს ჯგუფი ჩატარდა მე-5, მე-6 ,მე-7 კლასის მოსწავლეებთან, მშობლებთან და კოლეგებთან. რისი მიზანიც იყო შეფასების

სისტემასთან მათი დამოკიდებულების შესწავლა რაც დამეხმარა კვლევის სწორად წარმართვაში და კითხვარების მომზადებაში.

კითხვარები მომზადდა როგორც მშობლებისთვის, მოსწავლეებისთვის და ასევე მასწავლებლებისთვის.

ინტერვიუს ღია და დახურულმა ანკეტირებამ საშუალება მომცა განმესაზღვრა მოსწავლეთე დამოკიდებულება შეფასების სისტემის მიმართ.

ასევე ფოკუსურებული დაკვირვება გაკვეთილზე ეფექტური უკუკავშირის კრიტერიუმებზე დაყრდნობით დამეხმარა კვლევის წარმართვაში.

მონაცემთა ანალიზი- ფოკუს ჯგუფის ანალიზისას გამოვლინდა რომ მშობლების უმრავლესობას სურდათ რომ ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე უფრო ვრცელი ინფორმაციის მიღება. გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მშობლები ინფორმაციას არასწორად აღიქვამენ. მაგ. თუ მოსწავლემ კონკრეტულ დავალებაში დაბალი ქულა მიიღო მასწავლებელი სუბიექტურია შეფასებისას. გარკვეულ მშობელთა ჯგუფმა გამოთქვა სურვილი, რომ ქულასთან ერთდ კომენტარი დაეხმარებათ ბავშვის სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრაში.გამოიკვეთა იმ მშობელთა აზრი, რომლებიც თვლიან რომ, ნიშნით შეფასება უნდა ხდებოდეს შემაჯამებელი გაკვეთილის გამოკითხვის საფუძველზე, რომ მასწავლებელმა ამათუიმ გაკვეთილის შეუსრულებლობის გამო არ უნდა დაუწეროს მოსწავლეს დაბალი ქულა არამედ მისცეს განმავითარებელი კომენტარი, რაც უფრო მოტივირებულს გახდის მოსწავლეს.

მოსწავლეებთან ინტერვიუს შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა რომ, ისინი განმავითარებელ შეფასებას იშიათად ღებულობენ. მათ უმრავლესობას მიაჩნია რომ ნიშანი არ არის მათი ცოდნის და მუშაობის შეფასება. ამისათვის მათთვის კომენტარიც საკმარისია.ნიშანი არ არის ის

რომ იცოდე შეცდომები. ეს არის დასჯისა და წახალისების ფორმა ასე თვლის ჩემს მიერ გამოკითხულ მოსწავლეთა 80%.

მასწავლებლების ინტერვიუდან და კითხვარებიდან გამოიკვეთა რომ, ნიშანი არის განუყოფელი ნაწილი სასწავლო პროცესის რომ, ნიშანს თუ არ დავწერთ მოსწავლეები არ ისწავლიან, რადგან მოსწავლეთა უმრავლესობა სწავლობს ნიშნისთვის და არა ცოდნისთვის. ნიშანს აქვს აზრი თუ მას ვწერთ ობიექტურად.

საკუთარ პრაქტიკაზე კვლევამ მაჩვენა რომ ძირითადად ნიშანი სუბიექტურ ხასიათს ატარებს (მაგ. საატესტატო გამოცდაზე მოსწავლეების მიერ მიღებული ქულები არ შეესაბამება მათ რეალურ აკადემიურ მოსწრებას).კვლევის შედეგების ანალიზისას ასევე მკაფიოდ ჩანს, რომ სკოლა ცხოვრებისთვის უნდა ამზადებდეს ახალგაზრდას. ამიტომ სკოლამ უნდა შეძლოს დაეუფლოს მეთოდოლოგიას რათა განსაზღვროს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობათა პროცენტული და საუნივერსიტეტო განათლებისთვის დასაბუთებული რეკომენდაცია მისცეს სათანადო ნიჭის მოსწავლეებს. ამისათვის მასწავლებელი უნდა ფლობდეს ფსიქოლოგიურ განათლებას რათა ნიშნების და (ციფრების) გარეშე შეძლოს ცოდნის და უნარ-ჩვევების ადეკვატური შეფასების სისტემის შემუშავება, რადგან ნიშანი არის სწავლის პროცესის ფორმალური ასახვა.

დიმიტრი უზნაძემ თავისი მუშაობის ადრეულ ეტაპზე შემოგვთავაზა მოსაზრება სასწავლო პროცესიდან ნიშნებით (ციფრებით) შეფასების განდევნის შესახებ. მას მიაჩნდა რომ ასეთი შეფასება სუბიექტურ ხასიათს ატარებს და ხელს უშლის მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ნდობის ატმოსფეროს შენარჩუნებას. „სწორედ ნდობისა და სიყვარულის ატმოსფეროა აუცილებელი, რათა ბავშვის გულიც და ცნობიერებაც ღია იყოს იმისთვის რაც მას მიეწოდება“.

ნიშნები დღეს გამოიყენება საბაზო და საშუალო საფეხურზე და ბევრი თვლის რომ, სკოლა ნიშნის გარეშე იქნება უმართავი ასე ფიქრობს ჩემს მიერ გამოკითხულ მშობელთა და მასწავლებელთა 80%.

პედაგოგთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, ასევე რომ ნიშანს აზრი აქ იმ შემთხვევაში თუ ის ხელას უწყობს მოსწავლის განვითარებას.

შედეგების ანალიზიდან ასევე ჩანს ის რომ, მოსწავლეთა 80% არ მოსწონს სკოლა იმის გამო რომ იქ იწერება ნიშანი.ამისათვის მასწავლებელმა უნდა შეძლოს მოსწავლეებში წარმატების მიღწევის მოტივაციის ამაღლება. ხშირად უნად გამოვიყენოთ ფსიქოლოგთა რჩევები დავიწყოთ გაკვეთილი წინადადებით „თქვენ ყველაფერი გამოგივათ ,თქვენ ეს შეგიძლით“. მივაჩვიოთ იმას რომ ყოველთვის ქონდეთ სურვილი ახლის ძიების „მე ძალიან მინდა ამის გაკეთება“. მასწავლებელმა უნდა დაარწმუნოს იმაში რომ წარმატების ალბათობაა „ყველაფერი დამოკიდებულია ჩემზე“.

ზეპირი ინტერვიუს დროს ვისაუბრეთ თემაზე საჭიროა თუ არა თვითშეფასება. თითქმის ყველა მოსწავლემ აღიარა რომ ეს აუცილებელია, რადგან მან ჯერ უნდა დაინახოს თავისი წარმატება და შემდეგ ნაკლოვანებები.მაგ. „ მე ვიცი ზმნის უღლება მაგრამ მიჭირს არსებითი სახელის ბრუნება “. მოსწავლემ უნდა შეძლოს შეფასება და თანაკლასელის აზრის გაზიარება.

ანონიმურმა ანკეტირებამ მიჩვნა რომ მოსწავლეების აზრით პედაგოგის მთავარი ფუნქცია არის რომ შეფასება იყოს ობიექტური. ხშირად გამოიყენოს განმავთარებელი შეფასება მაგ. „შენ დღეს უკეთესი ხარ ვიდრე გუშინ“. პედაგოგი უნდა დაეხმაროს სიძნეელების დაძლევაში და

არა მარტო დააფიქსიროს მისი წარმარტება. მაშინ მოსწავლეს არასდროს მოსწყინდება სასწავლო პროცესი. როდესაც მოსწავლეს არ აქვს საკუთარი თავის რწმენა მაშინ მათ არ მოსწონთ სასწავლო პროცესი და ხშირად ეს იწვევს მათ უდისციპლინობას გაკვეთილის მსვლელობისას. აქედან გამომდინარე მოსწავლეთა ჩართულობა შეფასებისას აუცილებელია. რადგან ამ ასაკში ბავშვს აქვს მისწრაფება ,შეაფასოს საკუთარი მიღწევები და შესაძლებლობები .დაფიქრდეს რა შეუძლია და რა გამოსდის კარგად და რა ცუდად, შეადაროს საკუთარი თავი სხვას .ამის შედეგად მას ჩამოუყალიბდება ან დადებითი აზრი საკუთარ შრომისუნარიანობასთან და შესაძლებლობზე ,ან გაუჩნდება არასრულფასოვნების განცდა და თუ ეს განცდა დროულად არ იქნა აღმოფხვრილი ის მას გაყვება მთელი ცხოვრების მანძილზე. ასე რომ ჩვენი არასრულფასოვნების განცდის საფუძველი ,ხშირ შემთხვევაში ბავშვობაში კერძოდ კი სასკოლო პერიოდის პირველ წლებში უნდა ვეძიოთ. ვფიქრობ ამის მიზეზი ხშირ შემთხვევაში არის ნიშნით შეფასებაც, რადგან

შეფასებისა და ნიშნების წერის მიზეზი მარტივია - მოსწავლე და მშობელი ორიენტირებულია არა იმაზე ,თუ რას და როგორ ასწავლიან , არამედ იმაზე თუ რაში და როგორ აფასებენ . ამაში ვერავის ვერ დავადანაშაულებთ ,რადგან ნიშნებს ითხოვს ყველა მშობლები ,დირექცია , უფრო მაღალი ეშელონის ხელმძღვანელები(ჟურნალი ხომ უნდა იყოს შევსებული) რეალობა კი ისაა,რომ ერთი მოსწავლე ფასდება ერთ კომპეტენციაში ,მეორე მეორეში და ბოლოს ჯამდება შედეგები.მშობლებმა უნდა იცოდნენ,რომ წარმატება კარგი ქულების დაგროვებას არ ნიშნავს. გამოსავალი კი ერთია - შეფასებისა და ნიშნების წერის რეფორმა.

ვფიქრობ, რადგან ბავშვი ცხოვრების მრავალ წელს ატარებს სკოლაში მას რამდენიმე კრიზისული პერიოდის გადალახვა უწევს და თითოეულ მათგანს განსხვავებული მიდგომა ჭირდება მასწავლებლის და მშობლისგან. ბავშვის მიმართ დამოკიდებულება არ უნდა

განისაზღვრებოდეს იმის მიხედვით , თუ რამდენად წარმატებულია ის სწავლის პროცესში . ის უყვართ და მისით ამაყობენ თუ ის კარგად სწავლობს ,მაგრამ სამარცხვინოა და ბრაზის ობიექტი თუ ის სწავლას ვერ ახერხებს - ეს არასწორი მიდგომაა. რაც უნდა ლმობიერი და თბილი იყოს მასწავლებელი , ის ბავშვისთვის მაინც მკაცრი შემფასებელია. ბავშვისათვის თითოეულ სიტყვას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს . მოსწავლეს ყოველთვის ჭირდება ემოციური მხარდაჭერა და გამხნევება . მშობელსა და მასწავლებელს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ყველა ადამიანის ერთ ყალიბზე მორგება არ შეიძლება ,რომ ყველა სხვადასხვანაირია . დღევანდელი მოთხოვნების მიხედვით მასწავლებელს ინდივიდუალური მიდგომა ევალება, ის უნდა დაეხმაროს მშობელს კარგად შეისწავლოს თავისი შვილი და მ ისცენ მას ისეთი საქმიანობის შესრულების საშუალება,სადაც მათი ბავშვი წარმატებული იქნება .

ვფიქრობ, მასწავლებელმა არასოდეს არ უნდა შეადაროს მოსწავლე სხვა მოსწავლეს და შეფასებისას უფრო მეტი ადგილი დაუთმოს არა ნიშნით შეფასებას,არამედ ქებისა და წახალისების სიტყვიერ მეთოდებს, ბონუსებს, მადლიერების წერილებს, წამახალისებელ რეკომენდაციებს,რადგან სკოლაში მიღებულ ნიშნებს მშობელი აკონტროლებს და მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამის გამო ხშირად მოსწავლე ორიენტირებულია ნიშანზე და არა ცოდნის მიღებაზე , რაც ხელს უშლის მოსწავლის განვითარებას.

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე ინტერვენციის რამოდენიმე ვარიანტი ; ვაწარმოებთ თვითშეფასების რუბრიკებს სადაც მკაფიოდაა გაწერილი თუ კონკრეტულად რა საკითხში რამდენი ქულა იწერება .ეს რუბრიკები ეხმარება მოსწავლეს საკუთარი ცოდნის შეფასებაში,სუსტი მხარეების აღმოჩენაში და ამ მხარეებზე ყურადღების გამახვილებაში იგი უფრო თავდაჯერებულს ხდის მოსწავლეს და ზრდის მასში სწავლისადმი

გამწყობას. ასევე მოსწავლეების ჩართულობა შეფასებაში მეხმარება მოსწავლის ობიექტურად შეფასებაში.

ხშირად ვიწყებ გაკვეთილს წინადადებით ‘ თქვენ ყველაფერი გამოგივათ’’ ვცდილობ მივაჩვიო მოსწავლე იმას რომ ყოველთვის ჰქონდეს სურვილი ახლის ძიების და დავარწმუნო იმაში რომ წარმატების ალბათობაა’’ ყველაფერი დამოკიდებულია ჩემზე ‘’

ქულას ვწერ შემაჯამებელი გამოკითხვისას .ძირითადად ვიყენებ განმავითარებელ შეფასებას კომენტარის ან წერილობითი ჩანაწერის სახით.

ინტერვენციები

1) დღიურის წარმოება სადაც მასწავლებელი ყოველი გამოკითხვის შემდეგ დაწერს წერილობით კომენტარს
2) მშობლებისათვის მოსწავლეთა შეფასების სისტემის გაცნობა
3) თვითშეფასების რუბრუკები
4) მოსწავლეთა ჩართულობა შეფასებისას

ინტერვენციების ანალიზისთვის გამოცდილება გავუზიარე კოლეგებს , მშობლებს რის საფუძველზეც გავაკეთე დასკვნა.

დასკვნა- ნიშნები მხოლოდ ციფრებია ქაღალდზე ,საბოლოო ჯამში
ჩვენს ცხოვრებას განაპირობებს ხასიათი, გამოცდილება ,კავშირები და არა ნიშნები სკოლაში . სკოლის მთავარი ფუნქცია მდგომარეობს იმაში ,რომ განავითაროს მოსწავლეში ისეთი უნარ- ჩვევები რომლებიც დაეხმარება მათ დამოუკიდებელი პიროვნების

ჩამოყალიბებაში, რომელსაც არ გაუჭირდება საზოგადოებაში თავის დამკვიდრება და მუდამ ექნება განვითარების სურვილი.
დანართი

კვლევის კითხვარი მოსწავლეებისთვის

1.რატომ დადიხართ სკოლაში?
ა) მიიღო ცოდნა?
ბ) შეხვდე ამხანაგებს?
გ) მიიღო ნიშანი?

2.როდის ხარ უფრო კმაყოფილი სკოლის?
ა) როცა შეგაქებენ?
ბ) თუ მიიღე ნიშანი?

3.როცა არ ისწავლე გაკვეთილი და მოხვედი სკოლაში, შენთვის უკეთესია.
ა) რომ დაგსაჯონ სიტყვიერად?
ბ) დაგიწერონ „2“

4. ნიშანი არის შედეგი შენი ცოდნის და მუშაობის შესაფასებლად?

5. ნიშანი არის შენი ცოდნის შეფასება სხვა ადამიანების მიერ?

6. ნიშანი საჭიროა რომ იცოდე შენი შეცდომები?

7. ნიშანი არის წახალისების და დასჯის ფორმა?

კვლევის კითხვარი მასწავლებლებისთვის

1) ნიშანი არის განუყოფელი ნაწილი სასწავლო პროცესის?
2) ნიშანს აქვს აზრი თუ მას ვწერთ ობიექტურად?
3) ჩემს მიერ დაწერილი ნიშანი არ აფერხებს მოსწავლის განვითარებას?
4) მე ყოველთვის მაქვს განსაზღვრული თუ რას ვაფასებ და რისი მიღწევა მსურს ამ შეფასებით.
5) მე ყოველთვის მაღალ მოთხოვნებს ვუყენებ მოსწავლეებს და ჩემმა მოსწავლეებმა იციან, რომ მათ ყოველთვის აქვთ გზა წარმატებისკენ?
6) როგორ ფიქრობთ მოსწავლეების დიდი ნაწილი სწავლობს ცოდნისთვის თუ ნიშნისთვის?

კვლევის კითხვარი მშობლებისთვის

1) როგორ ფიქრობთ კარგი ნიშანი ცხოვრებაში წარმატების საწინდარია თუ უბრალოდ ციფრებია ქაღალდზე?
2) განაპირობებს თუ არა თქვენი შვილების წარმატებას ცხოვრებაში: ხასიათი, გამოცდილება და კავშირები?
3) თქვენ გიყვართ და ამაობთ თქვენი შვილით თუ ის კარგად სწავლობს, მაგრამ ის სამარცხვინოა და ბრაზის ობიექტია თუ ის სწავლას ვერ ახერხებს?

1) კვლევის ანგარიში: გავაცანი საკვლევი საკითხი კოლეგებს მივიღე უკუკავშირი.
2) რეფლექსია: ვარ სკოლის ბაზაზე უფრუსი მასწავლებელი, პროფესიული განვითარების და წინსვლის მიზნით ჩავატარე პედაგოგიური კვლევა საკითხზე რა არის ნიშანი? საჭიროა თუ არა მოსწავლის შეფასება ნიშნით? გამოვიყენე ლიტერატურა დიმიტრი უზნაძის „განწყობის თეორია“ და მოსაზრება სასწავლო პროცესიდან „ ციფრებით შეფასების განდევნის შესახებ“. დაკვირვება მოვახდინე მე-5, მე-6, მე-7, მე-10 კლასის მოსწავლეებზე, რომელთა 80%-მა კითხვარების გამოყენებით და ინტერვიუს საშუალებით რომ სკოლაში სიარული ეზარებათ მხოლოდ იმიტომ რომ იწერება ნიშანი და მშობლები სჯიან მათ დაბალი ნიშნის მიღების გამო. მასწავლებელთა უმრავლესობამ დააფიქსირა თავისი აზრი და უკუკავშირისას აღნიშნა რომ სკოლა ნიშნის გარეშე იქნბეა უმართავი, რადგან მოსწავლეების დიდი ნაწილი სწავლობს ნიშნისთვის და არა ცოდნის მისაღებად. მშობელთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა რომ ნიშანი საჭიროა, რადგან მათ არ აქვთ საშუალება ხშირად მოვიდნენ სკოლაში ინახულონ ყველა მასწავლებელი და იკითხონ საკუთარი შვილის სუსტი და ძლიერი მხარეების შესახებ და ამიტომ შვილების აკადემიურ მოსწრებას იგებენ ნიშნის საშუალებით.

კვლევის ანალიზის დროს კოლეგებთან ვიმსჯელეთ თუ რამდენად აუცილებელი და საჭიროა მშობლებთან აქტიური თანამშრომლობა რაც უფრო დაგვეხმარება ბავშვის ბუნების გაგებაში და ფსიქოლოგიური არსის შემეცნებაში აღმოფხვრის უფსკრულს აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის. ეს ხელს შეუწყობს ბავშვის ბუნებრივ განვითარებას გაზრდის მათში მოტივაციას სწავლისადმი დაეხმარება როგორც ძლიერი ასევე

სუსტი მხარეების დანახვაში. დადებათად განაწყობს სასწავლო პროცესისადმი.

დასკვანა: იმისათვის რომ შევქმნათ სწავლაზე ორიენტირებული გარემო პირველ რიგსი უნდა იყოს გათვალისწინებული მოსავლეების ინტერესები და სურვილები. კვლევის შედეგად დავასკვენი, რომ შეფასების სისტემა არის სუბიექტური არ შესაბამბა მოსწავლების მოთხოვნებს მათ განვითარებას. რის გამოც შევიმუშავეთ ინტერენციები და დავაფიქსირე ჩვენი აზრი რომ შეფასების სისტემა მოითხოვს რეფორმირებას და დახვეწას.